

საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ მაღაზიის მომხმარებელთან წინასწარი შეკვეთის თაობაზე შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ლილაკზე – „ვეთანხმები“ დაჭერით მომხმარებელი გამოხატავს თანხმობას ამ ცვლილებით გათვალისწინებულ პირობებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე ინტერნეტ მაღაზიის მომხმარებელთან წინასწარი შეკვეთის თაობაზე შეთანხმებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ შეთანხმების:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს არის სავალდებულო ხასიათის მქონე შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა (შემდგომში – ეროვნული ბანკი) და ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე განთავსებული ინტერნეტ მაღაზიის (შემდგომში – ინტერნეტ მაღაზია) მომხმარებელს (შემდგომში – მომხმარებელი) შორის. ამ შეთანხმებაში, მოცემული პირობების შესაბამისად, მომხმარებელი ახდენს ეროვნული ბანკის მიერ გამოსაშვები კონკრეტული პროდუქციის წინასწარ შეკვეთას, შეკვეთის დასრულებას და შეკვეთის მიღებას ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი თანხის გადახდით.“.

ბ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. წინასწარი შეკვეთის განთავსების, შეკვეთის დასრულებისა და შეკვეთილი პროდუქციის მიღების პირობები

1. ეროვნული ბანკის მიერ წინასწარი შეკვეთა მიღებულად ჩაითვლება, თუ მომხმარებელი დარეგისტრირების პროცესში მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (შემდგომში მომხმარებლის ელექტრონული ფოსტა) მიიღებს შეტყობინებას შეკვეთის დადასტურების თაობაზე და ინტერნეტ მაღაზიის მისსავე პროფილში შესაბამის წინასწარ შეკვეთას მიენიჭება სტატუსი „გადახდილი“;

2. შეკვეთის დასრულების მიზნით, მომხმარებელი ინტერნეტ მაღაზიაში სრულად უთითებს პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ახორციელებს პროდუქციის ღირებულების დარჩენილი თანხის, მიწოდებისა და დაზღვევის საფასურის გადახდას საგადახდო ბარათის მეშვეობით;

3. ეროვნული ბანკის მიერ შეკვეთა დასრულებულად ჩაითვლება, თუ მომხმარებელი ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს შეტყობინებას შეკვეთის დადასტურების თაობაზე და ინტერნეტ მაღაზიის მისსავე პროფილში შესაბამის შეკვეთას მიენიჭება სტატუსი „გადახდილი“;

4. შეკვეთის დასრულება შესაძლებელია ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ გამოცხადებული პერიოდის განმავლობაში;

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩოს პროდუქციის გადამზიდავი კომპანია და შეფუთვის ფორმა;

6. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ გამოცხადებული პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ იმ ადგილებში, რომელიც მითითებულია ვებგვერდზე და შესაბამისად, მომხმარებლის მიერ ინტერნეტ მაღაზიაში შეკვეთის დასრულებისას მითითებულ მისამართზე;

7. პროდუქციის გადაზიდვისა და დაზღვევის ღირებულება ემატება პროდუქციის ფასის დარჩენილ გადასახდელ თანხას და მისი ანაზღაურება ეკისრება მომხმარებელს;
8. შეკვეთის დასრულების შემდგომ, გადამზიდავი კომპანია წინასწარ უკავშირდება მომხმარებელს შეკვეთაში მითითებულ საკონტაქტო ნომერზე და აცნობებს პროდუქციის მიწოდების დროს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადას;
9. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ შეუძლებელია პროდუქციის დროულად მიწოდება, იგი აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობებს ეროვნულ ბანკსა და მომხმარებელს;
10. გადამზიდავი კომპანიის მიერ პროდუქციის ჩაბარება დალუქული ფორმით ხორციელდება მომხმარებელზე, ხოლო მისი მისამართზე არ ყოფნის შემთხვევაში, პროდუქციის ჩაბარება შესაძლებელია, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის მიერ მომხმარებელთან სატელეფონო კომუნიკაციისა და შეთანხმების საფუძველზე, იმავე მისამართზე მყოფი სხვა პირისათვის (შემდგომში ერთობლივად - მიმღები პირი);
11. გადამზიდავი კომპანიისაგან პროდუქციის მისაღებად, პროდუქციის მიმღებმა პირმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქცია არ გაიცემა და შეკვეთა დაბრუნდება ეროვნულ ბანკში, ხოლო ყველა ის ხარჯი, რომელიც ეროვნულ ბანკს წარმოეშობა პროდუქციის უკან დაბრუნებით, მათ შორის, პროდუქციის გადაზიდვისა და დაზღვევის საფასური, დაეკისრება მომხმარებელს და ანაზღაურდება მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხიდან. მომხმარებლის მიერ პროდუქციის გატანა ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან შესაძლებელი იქნება პროდუქციის გამოსვლიდან 2 თვის განმავლობაში;
12. მიმღები პირი, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის თანდასწრებით, ახდენს დალუქული პროდუქციის გახსნასა და მის ვიზუალურ დათვალიერებას. მონეტის ვიზუალური დათვალიერება უნდა განხორციელდეს კაფსულის გაუხსნელად, მონეტასთან უშუალო ფიზიკური შეხების გარეშე;
13. თუ მიმღები პირი გადამზიდავის მიერ გადაცემულ პროდუქციას ჩაიბარებს ვიზუალური დათვალიერების გარეშე და გადაცემის მომენტში პრეტენზიას არ გამოთქვამს პროდუქციის დაზიანების შესახებ, მაშინ ითვლება, რომ მიმღებმა პირმა პროდუქცია მიიღო უნაკლოდ, შეთანხმებული პირობებით;
14. მიმღები პირის მიერ ელექტრონული ხელმოწერის დაფაზე, პროდუქციის ჩაბარების ხელმოწერით დადასტურების შემდეგ, მომხმარებელზე გადადის ნივთის ან/და მისი შეფუთვის შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი და პროდუქციასთან დაკავშირებით პრეტენზიები აღარ მიიღება;
15. მიმღები პირის მიერ პროდუქციის ჩაბარების შემდგომ, ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანისთვის, რაც შესაძლოა გამოწვეული ან დაკავშირებული იყოს პროდუქციის ბუნებრივ და თვისობრივად მახასიათებელ ცვეთასთან, ფერის შეცვლასთან, მომხმარებლის მიერ არასწორი მოპყრობით გამოწვეულ დაზიანებასთან;
16. თუ მიმღები პირი არ მიიღებს პროდუქციას, იგი ვალდებულია, პროდუქციის მიუღებლობის მიზეზი აღნიშნოს ელექტრონული ხელმოწერის დაფაზე, რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით;
17. ეროვნული ბანკი არ განიხილავს მიმღები პირის მიერ პროდუქციის დიზაინისა და სპეციფიკაციების შესახებ არაზუსტი წარმოდგენის მიზეზით გამოთქმულ პრეტენზიებს;
18. მიმღები პირის მიერ პროდუქციის დეფექტის ან/და გარეგნული დაზიანების გამო მიუღებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი თავად შეამოწმებს დაბრუნებულ პროდუქციას, რის შესახებაც შედეგება დასკვნა. შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ მომხმარებლის ინფორმირება მოხდება გონივრულ ვადაში, მატერიალურად ან ელექტრონული ფოსტის

საშუალებით. პროდუქცია დეფექტის მქონედ შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი არ შეესაბამება შეკვეთაში დაფიქსირებულ პროდუქციას ან ვებგვერდზე განთავსებულ ტექნიკურ მახასიათებლებს, მას აქვს ქარხნული წუნი ან/და პროდუქტი დაზიანებულია მიწოდების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაზარუნებული პროდუქციის დეფექტს ან/და გარეგნულ დაზიანებას, მარაგში იმავე დასახელების პროდუქციის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის მის მიწოდებას. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელს არ დაეკისრება განმეორებით მიწოდებასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაზარუნებული პროდუქციის დეფექტს ან/და გარეგნულ დაზიანებას, თუმცა იმავე დასახელების პროდუქციის მარაგი ამოწურული იქნება, შეკვეთის ფასი, მიწოდებასა და დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით, სრულად დაუბრუნდება მომხმარებელს. სხვა ვალდებულება ან პასუხისმგებლობა, მათ შორის, დეფექტის ან/და გარეგნული დაზიანების მქონე პროდუქციის მიწოდების შედეგად დამდგარი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანისთვის, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ შემოსავალს და რეკუტაციისათვის მიყენებულ ზიანს, ეროვნულ ბანკს არ დაეკისრება;

გ) ეროვნული ბანკი არ დაადასტურებს დაზარუნებული პროდუქციის დეფექტს ან/და გარეგნულ დაზიანებას, მიმღები პირის მიერ პროდუქციის გატანა ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან იქნება შესაძლებელი პროდუქციის გამოსვლიდან 2 თვის განმავლობაში. ხოლო აღნიშნულის შედეგად წარმოშობილი ყველა ხარჯი, მათ შორის, პროდუქციის გადაზიდვისა და დაზღვევის საფასური დაეკისრება მომხმარებელს და ანაზღაურდება მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხიდან;

19. თუ, მომხმარებლის მიზეზით, დადგენილ ვადებში ვერ ხერხდება პროდუქციის ჩაბარება, კერძოდ, ვერ ხერხდება მომხმარებელთან დაკავშირება, მომხმარებლის მიერ შეკვეთისას არასწორი რეკვიზიტების, მისამართისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითების, დასახელებულ მისამართზე არყოფნის, გადამზიდი კომპანიისა და ეროვნული ბანკის შეტყობინებებზე გამოუხმაურებლობისა და სხვა გარემოებათა გამო, პროდუქცია დაბრუნდება ეროვნულ ბანკში, ხოლო ამ ქმედებებით დამდგარი ან/და გამოწვეული ხარჯები - პროდუქციის გადაზიდვისა და დაზღვევის საფასური დაეკისრება მომხმარებელს და ანაზღაურდება მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხიდან. ხოლო, მიმღები პირის მიერ პროდუქციის გატანა ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან იქნება შესაძლებელი პროდუქციის გამოსვლიდან 2 თვის განმავლობაში;

20. თუ გადამზიდავი კომპანიის მიერ პროდუქციის ადგილზე მიტანა არ მოხდა დადგენილ ვადაში, მომხმარებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ეროვნულ ბანკს. ამასთან, მომხმარებელი უფლებამოსილია, თავად მოახდინოს პროდუქციის გატანა ეროვნული ბანკის საკასო ცენტრიდან და მოითხოვოს გადაზიდვისა და დაზღვევის საფასურის უკან დაბრუნება. სხვა ვალდებულება ეროვნულ ბანკს არ დაეკისრება;

21. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიზეზით, პროდუქციის გამოსვლიდან 2 თვის განმავლობაში (გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა) არ მოხდა პროდუქციის მიღება, შეკვეთა გაუქმდება და მომხმარებელს, მის მიერ გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.“

გ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სრულად გადაიხადოს შეკვეთილი პროდუქციის, მისი მიწოდებისა და დაზღვევის ღირებულება.“.